



The logo consists of large, stylized black characters 'ე' and 'რ' from the Georgian alphabet. The character 'ე' is on the left, and 'რ' is on the right, joined together to form a shape resembling a house or a flame. Above the center where the two characters meet, there is a small, thin black sprig with leaves. The entire logo is set against a white background.

გამოდის 1993  
წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

## „MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

בְּנֵי

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

0263200  
(გვატი)  
1-15  
№1 (334)  
(5771)  
2011

# ”מגורה“ עיתון יהודי בגאורגיה

# სანუების პირველი ფლეხა - მთელი საქართველოს ფლეხსასწაული?

საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციები „ევროპული საქართველოსთვის“, გამოდიან ინიციატივით საქართველოში დააწეონ ახალი საყოველოაო სამოქალაქო დღესასწაულები. ისინი აცხადებენ, რომ სამოქალაქო დღესასწაულები სახელმწიფოსთვის ისეთივე სიმბოლოა, როგორიც დროშა, პიმნი და გერბი. საქართველოს ერთ-ერთი მონაპოვარი – მისი მრავალეროვნულობა სახელმწიფო კალენდარშიც უნდა აისახოს.

– ჩვენ მივიჩნევთ, რომ ნოვრუზი ბაირამთან ერთად, საქართველოში სადღესასწაულო დღედ უნდა გამოცხადდეს 25 დეკემბერი, 31 დეკემბერი, 8 მაისი და ებრაული ხანუქის პირველი დღე – ნათქვამის განცხადებაში. ქართველებსა და ებრაელებს 26 საუკუნოვანი ძმობა აკავშირებთ. აქედან გამომდინარე, ჩვენი თანამემამულე ებრაელობის ასეთი მნიშვნელოვანი თარიღი – ხანუქის პირველი დღე – გამოცხადდეს დღესასწაულად.

მათი აზრით, დღესასწაულად უნდა გამოცხადდეს 31 დეკემბერი – ამ დღეს შეწყვიტა არსებობა საბჭოთა კავშირმა.

ეს კოალიცია – „ევროპული საქართველოსთვის“ 15 დეკემბერს დაფუძნდა, დეკემბრის ბოლოს კი ასეთი ინიციატივით გამოვიდა. „ევროპული საქართველოსთვის“ აერთიანებს 56 არასამთავრობო ორგანიზაციას. ამათ შორისაა თავისუფლების ინსტიტუტი, სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტი, ახალი ეკონომიკური სკოლა, სკოლების დირექტორთა ასოციაცია, ფონდი „ლიბერალი“ და სხვ.



# ՀՐԱՄԱՆԱՀԱՆՈՒԹՅՈՒՆ

მოსკოვის ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთში „იცხაკის კარავი“ დღესასწაული გაიმართა — ამ ბეით ქნესეთს ახალი სეფერთორა აჩუქა ევრ-აზის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა, ცნობილმა მაგნატმა ალექსანდრე მაშკევიჩმა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ „იცხაკის კარავი“ მამის — ისაკ ელაშვილის პატივსაცემად შექმნეს მერაბ და გიორგი ელაშვილებმა. ესენი გახლავან რუსული კორპორაცია „სტუმართმოყვარეობის პლანეტა“-ს მესვეურნი.

დღესასწაული კარგა ხანს გაგრძელდა.  
ალექსანდრე მაშკევიჩი ისრაელიდან ჩავიდა მოსკოვს. ის-  
რაელში იგი შეხვდა კარმიელის ხანძართან მებრძოლ გმირებს  
და განაცხადა, „განადგურებულის აღსაღენად იმდენს დავხ-  
არჯავთ, რამდენიც საჭირო იქნება“.

გიორგი და მერაბ ელაშვილების შენირულობებით აშენებულ „იცხაკის კარავში“ აღ. მაშვევიჩთან ერთად მოვიდნენ ის-რაელელი მილიარდერი აბრამ ნანიკაშვილი, უკრაინის ეპრაული კონგრესის პრეზიდენტი ვადიმ რაბინოვიჩი და სხვ.

## აღ. გაშპევიჩისა და გ. მირილაშვილის ინიციატივა

გუშინ, 4 იანვარს, კარმელის სიახლოესში, სოფელზე ნირ-ეციონში, სადაც  
ამ ერთი თვის წინათ ხანძარი მძინვაობდა, გაიმართა „სატრაქტორო  
ბრიგადის“ პრეზენტაცია. წარმოაჩინეს ამ ბრიგადის შესაძლებლობანი.  
ეს სატრაქტორო ბრიგადა შეიქმნა ეკრაზის ებრაულთა კონგრესის  
პრეზიდენტის ალექსანდრე მაშვილისა და ამავე კონგრესის პირველი  
ვიცე-პრეზიდენტის - „ზაკას“ სამეთვალყურეო საბჭოს თამჯდომარის  
მიხელ მირილაშვილის დაფინანსებით. სატრაქტორო ბრიგადა  
გამოუწეულია ძნელად მისასვლელ აღგილებიში ხანძრის ჩასაქრობად.  
ეს არის ხანძრის ქრობის თანამედროვე, მობილური საშავლება.

„გუშინ ნირ-ეკიონში სატრაქტორო ბრიგადის ჩასაბარებლად ჩავიდა მიხო მირილაშვილი. მან ბრიგადა გადასცა ისრაელის შინაგან საქმთა მინისტრს - ელი იშაის.

ცერემონიალზე მიწვეული გახდდნენ დაკამატერში ხანძრისას დაღუპულთა ახლობლები, ეს ბრიგადა სწორედ დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად შეიქმნა.



0300762000 „ეგნო”, 0693-სა-ერნეტიკა-ეგნორა.გე

## ქართული პალესტინიანა

# იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ერთი საიდუმლო

(ეძღვნება შოთა რუსთაველის ფრესკის აღმოჩენის 50 წლისთავს)

შემაგრილი

2005 წლის მარტის ბოლოს ისრაელში ერთი კვირით ჩასულს, მართლაც, რომ ბედმა გამიღიმა და ჯვრის მონასტერში სწორედ მაშინ მივედი, როდესაც ბ-ნი ხამი კაპჩიცი – ლენინგრადის რესტავრატორთა ცნობილი სკოლის წარმომადგენელი, ამჟამად კი იერუსალიმის სიძველეთა დაცვის დეპარტამენტის წამყვანი რესტავრატორი, შოთა რუსთაველის ფრესკის აღდგენაზე მუშაობდა. საბოლოოშით დამთანხმდა გადაღებაზე და ფირზე დამრჩა აღდეჭდილი მისი მეტად საინტერესო მონათხოვი: „თქვენი პრეზიდენტის ვიზიტისათვის ფრესკის წაჩერევად და უხარისხოდ აღდგენით იხ. მ. მარსაგიშვილი, „ყველაფერი, რაც ინერება შოთა რუსთველის შესახებ“, გაზ. „24 საათი“, 2005, 15 აპრილი] ის მცირედიც განადგურდა, რაც მისი დაზიანების მემდევ დარჩა... სხვა სამუშაოებისგან განსხვავებით, როცა ფრესკას შტრიხებით ან წერტილებით აღვადგენთ, აქ სულ სხვა ამოცანა მქონდა – სრულებით სუფთა ბათქაშზე შოთა რუსთაველის პორტრეტი ფაქტობრივად თავიდან უნდა დამეხატა. ამ სვეტან მოსვლამდე სამუშაომ ბევრად დიდი დრო და ენერგია წაიღინო. თვეობით ვაკარჯიშებდი ხელს, რომ ფუნქცის ერთი მოსმით ძალაშია ასლი შემექმნა. აქ შეცდომა არ შეიძლებოდა, სველი ბათქაში ხომ მაშინვე ინოვაცია საღებავს. სულ სხვა საქმეა ასოები ფრესკის ფონი დაზიანებული არ იყო და ასოები

იოლად აღვადგინე” [შეგახსენებთ, რომ ფრესკის დაზიანებისას რამდენიმე ასოც იყო ჩამოფხევილი: იხ. მ. მარსაგიშვილი, გაზ. „24 საათი“, რუსთაველის ფრესკების 2004, 9 ივნისი].

სწორედ მაშინ მაჩვენა ბ-ნმა კაპჩიცმა იმავე სვეტის შეორე მხარეს ძველი დაზიანება, რომელშიც ჯვრის მონასტრის მოხატვის სამი ფენა მოჩანს და რომელმაც ნათელი მოპფინა ჩვენში ცნობილ ვარაუდს, რომ მონასტერი ძირითადად სამჯერ მოიხატა: 1. მონასტრის აღმშენებლის გიორგი-პროხორე შავშელი ბერის დროს (XI ს.); 2. დავით VIII-ს პერიოდი (XIV ს.), რომელმაც XIII ს-ში მეჩეთად გადაკეთებული „დატყვევებული“ და „შეჭირვებული“ (სწორედ ამ ტერმინებით არის მოხსენიებული აღაბებში) ჯვრის მონასტერი გაათავისუფლა, რისთვისაც „მეორედ აღმაშენებელი“ ენოდა; 3. ნიკიფორე იობახის (ჩოლოყაშვილის) ჯვარის მამობის პერიოდი (XVII ს.), რომელმაც თავისი მოღვაწეობა მონასტრის შემოსასვლელი კარის თავზე ცნობილ წარწერაში ასახა.

აქვე დავძენ, რომ ჯვრის მონასტერში ყოველი შესვლისას გულისტყვილით ვუყურებდი დაზიანებებს ფრესკებზე. ვარიდებდი რა თავს მისი ამჟამინდელი მფლობელების გალიზიანებას (ამ საკითხზე ვრცლად გაზეთ „24 საათის“ 2005 წლის 9 დეკემბრის წომერში დავწერე და აქ თავს აღარ შეგაწყვით), ხმას ვერ ვიღებდი,

მაგრამ ამ დაზიანებების ფორმა სამუდამოდ ჩამებეჭდა გონებაში. როდესაც ხამ კაპჩიცმა, მისივე თქმით, ისრაელელი არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი მოხატვის სამი ფენის ამსახველი ფოსო მაჩვენა (ორ ფენას სხვა ფრესკებზე ადრე ვხედავდი, იმდენად ნათლად ჩას), მთელი ჩემი ყურადღება ამ ფაქტმა მოიცვა და მხოლოდ თბილისში ყოფინისას გამახსენდა, ნარტექსიდან (ტაძრის ღია ან დახურული შესასვლელი დასავლეთის მხრიდან) ეკლესიაში შესასვლელი კარის ნირთხლზე (კარის ან ფანჯრის ჩაორს გვერდი) ფრესკების დაზიანებები, სადაც თვალის მეხსიერებით მოხატულობის სამი ფენის ფრესკა და უნდა ყოფილიყო. ამან მომცა ბიძგი და გამიჩინა დიდი სურვილი კიდევ ერთხელ მენახა ფრესკა, რომელსაც „იოანე ღამის“ ფრესკად ვიცხოდდი, და დანარჩენაც უფრო მეტად დავკავირვებოდი. ჩემი ვარაუდით, ეს ფრესკა, თავისი შინაარსითა და ფორმით, ამჟამად შემორჩენილი ფრესკებისგან ძალიან განსხვავდება, ხოლო წირთხლის მომხატავმა ამ კომპოზიციას განსაკუთრებული აზრობრივი მნიშვნელობაც მიანიჭა.

ჩემი მოსაზრების გადმოსაცემად შევეცდები საგაზიოთ სტატია არ გადავტვირთო და შეოლოდ ძირითადი და აუცილებელი აღვნიშნო.

ეკლესიის ცენტრალური კარის შიდა მხრიდან, მარცხენა წირთხლზე, გამოსასულია ძალიან ნატიფი და პლასტიური, ლაკონიური მოხაზულობის [„იოანე ღამის“] ფრესკა თვალებაზე ული, თეთრწერა, თეთრთმიანი, ფეხშიმებული მოხუცისა, რომელსაც ორივე ხელში ანთებული კულაპტრები უცყვით (ამის გამო შემდგომ მას „კელაპტრებიან მოხუცად“ მოვიხსენიერ). თავს უკან მოზრდილი ჯვარი აქვს მიხატული. აბრეშუმივით თხელი, ღია მოვარდისფრო-შინდისფერი, ნაკეცებში ყავისფერი ჩრდილებით აქცენტირებული ტანსაცმელი წელზე უბრალო თოკით აქვს შეკრული, თითქოს იმ ჯვარს, მის უკან ჩას, ზიდავს თავისი ახალგაზრდულად წელგამართული სხეულით. მისი მოხუცებულობა კი, აღბათ, მეტი გამოცდილებისა და ცოდნის მიმანიშნებელია. ამ არაჩვეულებრივად წროპორცულ, ლამაზი აღნაგობის ფიგურას კიდურებიც ახალგაზრდულად წატიფი და თხელი აქვს, რაც კარგად ჩას თითქოს მდიდრულ (ასეთ ელფერს აძლევს ყელიდან შერებზე გადმოსული, რომებინი ორნამენტით შესრულებული ჩამერალი, მუქი ოქროსფერი საყელო), მაგრამ უსახელო და მოკლე ტანსაცმელში, რაც კიდევ უფრო დარამატულსა და ამაღლებულს ხდის ამ ფიგურას და იდუმალ შინაარსს სძენს თვით ფრესკას.

ფრესკის ფონი ორნანილიაზა: ერთი მესამედი – მუქი ლურჯი, რომელზეც ერთ დროს თეთრი სალებავით შესრულებული, ამჟამად კი წამლილი ბერძნული ხარხერა ყოფილია: „მე ვარ ჯვარცმული სამყროში და საძყარო არის ჩემი“, ციმომნებებ კაფარის წელზე უბრალო თოკით აქვს შეკრული, თითქოს იმ ჯვარს, მის უკან ჩას, ზიდავს თავისი ახალგაზრდულად წელგამართული სხეულით. მისი მოხუცებულობა კი, აღბათ, მეტი გამოცდილებისა და ცოდნის მიმანიშნებელია. ამ არაჩვეულებრივად წროპორცულ, ლამაზი აღნაგობის ფიგურას კიდურებიც ახალგაზრდულად წატიფი და თხელი აქვს, რაც კარგად ჩას თითქოს მდიდრულ (ასეთ ელფერს აძლევს ყელიდან შერებზე გადმოსული, რომებინი ორნამენტით შესრულებული ჩამერალი, მუქი ოქროსფერი საყელო), მაგრამ უსახელო და მოკლე ტანსაცმელში, რაც კიდევ უფრო დარამატულსა და ამაღლებულს ხდის ამ ფიგურას და იდუმალ შინაარსს სძენს თვით ფრესკას.

ფრესკის ფონი არანილიაზა: ერთი მესამედი – მუქი ლურჯი, რომელზეც ერთ დროს თეთრი სალებავით შესრულებული, ამჟამად კი წამლილი ბერძნული ხარხერა ყოფილია: „მე ვარ ჯვარცმული სამყროში და საძყარო არის ჩემი“, ციმომნებებ კაფარის წელზე უბრალო თოკით აქვს შეკრული, თითქოს იმ ჯვარს, მის უკან ჩას, ზიდავს თავისი ახალგაზრდულად წელგამართული სხეულით. მისი მოხუცებულობა კი, აღბათ, მეტი გამოცდილებისა და ცოდნის მიმანიშნებელია. ამ არაჩვეულებრივად წროპორცულ, ლამაზი აღნაგობის ფიგურას კიდურებიც ახალგაზრდულად წატიფი და თხელი აქვს, რაც კარგად ჩას თითქოს მდიდრულ (ასეთ ელფერს აძლევს ყელიდან შერებზე გადმოსული, რომებინი ორნამენტით შესრულებული ჩამერალი, მუქი ოქროსფერი საყელო), მაგრამ უსახელო და მოკლე ტანსაცმელში, რაც კიდევ უფრო დარამატულსა და ამაღლებულს ხდის ამ ფიგურას და იდუმალ შინაარსს სძენს თვით ფრესკას.

1. შოთა რუსთაველის, დრონდელი ეპისკოპოსის, მავდერებელი მამა-შვილის თუ შეგირდის, მაგრამ, ისინი,

ფრესკა „კელაპტრებინი მოხუცა“



რამდენადაც ვიცი, არც არიან წმინდანებად შე-  
რაკხულნი;

2. სამხრეთ-დასავლეთ სკეტის სამხრეთ მხარეს, დაბლა გამოსახული მახგლელი ეპისკოპოსის თეოდორე (თეოდოსე) რევიშვილის პორტრეტი, რომლის ფრესკაც, ამ საკითხთან დაკავშირებით, დამატებით ყურადღებას იმსახურებს.

თეოდორე რეიმშვილი ნიკიფორე ჩილოყაშვილამდე ჯვარის მამა ყოფილა, აღაპებში თითქმის ყოველთვის მის გვერდით მოიხსენიება და ჯვრის მონასტრის შეკეთება-მოხატვაშიც აქტუურ მონაწილეობას იღებდა, რაც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული საბუთებითა და ანდერძ-აღაპებით დასტურდება [ელ. მეტრეველი, მასალევი იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), თბილისი, 1962, გვ. 62-63]. ტიმოთე გაბაშვილი კი გვაძლენობს: „...ჯვარის მამა ნიკიფორე თუ ნიკოლოზ შიგ ხატიან და თევდორე მანგლელიც“ [ტ. გამაშვილი, „მიმოსლვა“, ქართული პროგა, ნ. V, 1983, გვ. 541]. ან კიდევ: „ცხოვრებულა მუნ ჯვარისა მამა ნიკოლოზყოფილი ნიკიფორე... და მის თანა - თევდორე მანგლელი რეიმშვილი და ნეოიტიტე (ჯვარის მამა 1620 წელს - მ.მ.), მართებული მონასტერთან ქართველთასა“ [იქვე, გვ. 547].

ცნობა მისი პორტრეტის არსებობის შესახებ  
ტიმოთე გაბაშვილისა და ნიკო ჩუბინაშვილის  
გადმოცემით ვიცით, მაგრამ დღეისათვის დაკა-  
არგულად იყო მიჩნეული, რადგან ალ. ცაგარელ-  
მა ველარ ნახა და მას მხოლოდ ნიკო ჩუბინაშ-  
ვილის ჩანახატით ვიცნობდით [თ. ვირსალაძე,  
იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მოხატულობა  
და შოთა რუსთაველის პორტრეტი, თბ., 1973,  
(რუსულ ენაზე), გვ. 55]. შესაძლოა, ალ. ცაგარე-  
ლის დროს ნარნერა საღებავით იყო დაფარული.  
შოთა რუსთაველის ფრესკა ირ. აბაშიძის, აკ. მან-  
იძისა და გ. წერეთლის მიერ 1960 წლის ექსპედი-  
ციის დროს, სწორედ ასეთი საღებავისგან იქნა-  
გაწმენდილი. (შეგახსენებთ, რომ XIX საუკუნის  
ბოლოს და XX-ის 20-იან წლებში ბევრი ნარნერა  
და ფრესკა საღებავით იქნა დაფარული. ტიმოთე  
გაბაშვილმა მოინახულა იერუსალიმი 1757 —  
1758 წლებში, ნიკო ჩუბინაშვილმა — 1845 წელს,  
ალ. ცაგარელმა კი — 1883 წელს. ბევრი რამ ჯვრის  
მონასტრის ფრესკების შესახებ სწორედ მათი  
მონათხოვიბით არის ცნობილი.) პეტრე კონჭოშ-  
ვილსაც, რომელსაც ქართულ მონასტერთა, გან-  
საკუთრებით კი ჯვრის მონასტრის სავალალო  
ყოფამ ათექმევინა: “ამის ხილვამ ამიშალა სულის  
დიდი მნუხარება-ო” [პ. კონჭოშვილი, მოგზაუ-  
რობა იერუსალიმსა და ათონის მთაზე, გამო-  
საცემად მოამზადა ზაზა ვაძაყმაძემ, თბ., 2010,  
გვ. 88], 1899 წელს ჯვრის მონასტერში ბევრი რამ  
თეთრად შელესილი დახვედრია [იქვე, გვ. 93]. მის-  
ივე ცნობით, სოლომონისა და დავითის ფრესკა  
სამხრეთ-აღმოსავლეთ სვეტზე, სწორედ იმიტომ  
არის აგრერიგად დაზიანებული, რომ ზედ შემაღ-  
ლებული ადგილიდან სახარების ნასაკითხად ხის  
კიბე მიუმაგრებიათ, „ვითარცა არს მიღებული ეს  
წესი ბერძნთა ეკკლესიაში მე-15 საუკუნიდან“  
[იქვე, გვ., 92]. სხვათა შორის, გურამ პატარაიას

မို့၍ ၁၉၆၄ နှေး ဂာდာလွှံဗျာ ဖြစ်လမ္မာ, သဲ ကပ်ပါ  
ကာရွာတ ရှား၊ ထွေးသာတွေး ကျ – အလွှံဗျာလာ.

တော်မြတ်ရှု လှေ့ခိုပ်ဒါလီ ဖြူရေး အောင်မြတ် ဖြန်-  
ပိုလီ ပျော်, ရော်ကြော် ၆၈. မာရဖြော်လျှေး အုပ်မြို့နယ်  
(ပါရိုဝါယာ ပုဂ္ဂန်နှင့် အုပ်မြို့နယ်တော် ဆောင်ရွက်ပါသည်),  
မိုး ဒေသရှိ အား အောင်မြတ် ဖြန်ပိုလီ ပျော်၊ ရော်ကြော်  
နှင့် အုပ်မြို့နယ်တော် ဆောင်ရွက်ပါသည်. အောင်မြတ် ဖြန်-  
ပိုလီ ပျော်၊ ရော်ကြော် ရှား၊ အုပ်မြို့နယ်တော် ဆောင်ရွက်ပါသည်.  
အောင်မြတ် ဖြန်ပိုလီ ပျော်၊ ရော်ကြော် ရှား၊ အုပ်မြို့နယ်တော် ဆောင်ရွက်ပါသည်.

გადმოცემის თანახმად ამ სვეტის სამხრეთ  
მხარეს გამოსახული იყვნენ: ზემოთ - წმ. ია-  
კობ სპარსისა და წმ. მარცელუსის ნახევარ-  
ფიგურები; შუაში - წმ. არტემი და თეოდორე  
სტუდიელი, რომელთა ფერხთითაც იყო, თით-  
ქოს, გამოსახული მუხლმოძრევილი თეოდორე  
რევიშვილი /თ. ვირსალაძე, დას. ნაშრ, გვ. 16/.  
ამჟამად, სვეტის ზედა ნანილი მოშიშვლებულია  
სავარაუდოა, რომ ადრე მასზე წმინდანების ან  
ისტორიულ პირთა, შესაძლოა, სწორედ მარცე-  
ლუს აკომეტესი და არეტას (გაუგებრობაც, აღ-  
ბათ, აქედან წამოვიდა) ნახევარფიგურები იყო  
გამოსახული. ისევე, როგორც ამავე სვეტის აღ-  
მოსავლეთ მხარეს იოანე დამასკელისა და მაქსი-  
მე აღმსარებლის (რომელთა ფერხთითაც შოთა  
რუსთაველის მინიატურული გამოსახულებაა)  
ზემოთ, ორი წმინდანის ნახევარხევარფიგურაა  
შემორჩენილი.

ამდენად, მანგლელი ეპისკოპოსის, თეოდორე  
(თეოდოსე) რევიშვილის ფრესკა არ დაკრძალა,  
გამოსახულია ჯვრის მოხასტრის სამხრეთ-



ହାଶାବ୍ଦୀରେ କୁଣ୍ଡଳୀ ପାତାରେ ମନ୍ଦିର ପାଇଁ ଏହାର ପରିବର୍ତ୍ତନ ହେଲାମାତ୍ରା ଏହାର ପରିବର୍ତ୍ତନ ହେଲାମାତ୍ରା

ამ სცეტის დახარჩები საძი მხრისგან გაისხე-  
ვავებით, რომლებიც მოზრდილი ორნამენტებით  
არის დასრულებული, თეოდორე (თეოდოსე) რე-  
ვიშვილის გამოსახულებიანი ფრესკა ორნამენ-  
ტის გარეშე, იატაკამზდედა დახატული და მხოლოდ  
შონითალო-ყავისფერი მიწარჩინების ზოლით  
მთავრდება.

სხვათა შორის, ამ ფრესკაზე გამოსახულ  
ორივე პიროვნებას თვალები დაზიანებული  
ჰქონიდათ და ხაიმ კაპჩიცმა, რომელმაც შოთა  
რუსთაველის ფრესკაზე ამოჩხაპნილ ჯვრებსა  
და მინახერებს ხელი არ ახლო (ვინ იცის ვინ  
ამოჩხაპნა, როდის და როგორი სიყვარულითო),  
უანგაროდ, თავისი სურვილით აღადგინა: არ  
არის კარგი ეკლესიაში ფრესკაზე გამოსახულე-  
ბას თვალები დაკანირული ჰქონდეს.

რევისტორის სიცოცხლეშივე შექმნილ პორტრეტს, რომელსაც სახელიც ახლავს, რა თქმა უნდა, შარავანდედი არ ექნებოდა. „კელაპტრეგბიანი მოხუცის“ პიროვნება კი იმდენად ჰყავს ქრისტიანობისათვის წამებულს, რომ მისი უძარავანდედოდ გამოსახვა, ვფიქრობ, უმნიშვნელო არ უნდა იყოს. ჩემი ვარაუდით, ეს იმით აისნება, რომ აქ არა ვინმე კონკრეტული პიროვნებაა ასახული, არამედ ასეთ ფორმაში განსხვაულებულია ის ემოცია, რაზედაც ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ.

„კელაპტრებიანი მოხუცის“ სხეულის მარჯვენა მუხლი და ტერფის ქვეშ ადგილი დაზიანებულია კარის კუთხის წვერისა და საკეტისაგან. ფრესკის ქვეშ დროთა ვითარებისაგან ნანილობრივ ჩამოშლილი, ორიგინალური და ძალიან დინამიური ორნამენტის მარჯვენა კუთხეშიც მექანიკური დაზიანებაა.

„კელაპტრებიანი მოხუცის“ ფრესკის შესახებ რამდენიმე თვალსაზრისი არსებობს. სიმონ ყაუხჩინიშვილის ვარაუდით ეს შეიძლება იყოს პეტრე იქერის მასწავლებლის, იოანე ლაზარის გამოსახულება. ნიკო ჩუბინაშვილი, იერუსალიმიშვილი ბერების მონათხრობის მიხედვით, ამ ფიგურას განმარტავს, როგორც უმაღლესიანიძეს (ერთგვარი პალეოსიზის წინა რომიულის)

ლევები, თბ., 2003, გვ. 81]. ეს. მამისთვალიშვილის  
აზრის თანახმად კი ის სქემოსანი მოხაზუნია ესლ.  
მამისთვალიშვილი, იერუსალიმის ჯვრის მოხას-  
ტრის ისტორია, გვ. 77.

მაგრამ „კელაპტრებიანი მოხუცის“ ტანსაცმელი, ვეონებ, მეომრისას უფრო ჰყავს (მოკლე და უსახელო), ვიდრე მონაზონისას, თუმცა მეომრის კვალობაზეც მეტისმეტად მსუბუქი და მდიდრულია, ხოლო მისი თხელი, თითქმის უხორცო კიდურები მეტ დრამატულობას სძენს ისედაც ღრმა შინაარსით დატვირთულ (თვალებახვეული, ჯვარზე გაკრული, კელაპტრებით ხელში) ფრესკას. შედარებისთვის: ჩრდილო-აღმოსავალთ სვეტის დასავლეთ მხარეს წმ. სერაპიონის ასევე ფეხშიშველი, ტანსაცმელგანძარცვული, ძალზედ გამხდარი გამოსახულება სრულებით არ არის დრამატული. მასზე უბრალოდ წმ. სერაპიონის მძიმე ცხოვრება იყითხება.

„კელაპტრებიანი მოხუცის“ ფრესკის პირდაპირ, მარჯვენა ნირთხლზე, სამეფო ტანსაც-მელში, თავზე შარავანდებმი ჩახატული გვირგვინით, სოლომონ ბრძენის ფიგურაა მთელი ტანით გამოსახული. თავს ზემოთ, ბერძნულად წერია „ბრძენი სოლომონი“, ხელში დაჭრილ გახსნილ გრაგნილზე კი, ასევე ბერძნულად, სიტყვებია მისი თხზულებიდან: „წმინდანთა სულები მათი გამომსახველი ლმერთის ხელშია, არ ხელპყო ისინი“ [ვიმონბებ ნინო თომაძის დასნაშრომის მიხედვით, გვ. 81].

ეს ორი („კელაპტრებიანი მოხუცისა“ და სოლომონის) ფრესკა სიღილით ტოლია, ფონის შეფერილობაც – იდენტური. მეტად მნიშვნელოვნად მეჩვენება, რომ ამგვარი ტონალობის საღებავი – მოვარდისფრო-ყავისფერი და ლიაშინდისფერი, არ გვხვდება ჯვრის მონასტრისა ამჟამად არსებული ფრესკების (მათ შორის, სვეტიცხოვლისა და სიონის ეკლესიებში გადმოტანილი) არა თუ ფონად, არამედ დეტალებშიც კი. ფერთა შეხამებით კი სოლომონ ბრძენის ფრესკა საინცრად ჰარმონიულად ერწყმის კარის აბავე მხარეს ჩადგმული ოთხკუთხა სვეტის შიდა მხარეს შესრულებულ ორნამენტს, რომელიც თითქოს ამრიალებული მცენარის ფოთლებისა და ყვავილების ჩალისფერ ფონზე მუქი ყავისფერი საღებავით ყალმის ერთი მოსმოთ არის შესრულებული და ისეთივე დინამიურია, როგორც ზემოთაღნერილი „კელაპტრებიანი მოხუცის“ ფრესკის ქვეშ შემორჩენილი ორნამენტის მოზრდილი ფრაგმენტი, ოღონდ, მისგან განსხვავებით, ნაკლებგაცრეცილი და მკვეთრია. მიუხედავად ამ ორი ორნამენტის მოხაზულობის განსხვავებულობისა, სტილის ერთიანობასა საგრძნობია. ხოლო მონასტრის დანარჩენ ორნამენტებს თუ შევავლებთ თვალს, ყველა ისინი - როგორც თუ მარტივი, რეგისტრებს შორის დარჩენილ ზოლებში, სვეტებსა და კარნიზებზე - ორიგინალური, ლამაზი, სხვადასხვაგვარი და თვითმყოფადია, მაგრამ ყველა სტატიკურია და ნირთხლის იმ ორ ორნამენტთან შედარებით, სიმსუბუქეს მოკლებული, ნაკლებ ჰაეროვარი და ტლანებია.

იცნობთ საქართველოს ეპრაელობას?  
კომპოზიტორი ჯამალ საფიაშვილი:

# ქედოქედა ღიოსება ან უნდა ჩაკარგოს!..

— როგორ ხარ, ჯემალ? ხმა დაირსა ჯემალ სეფიაშვილი  
ცუდად იყო, ოპერაცია გამოკიარ, რა შეგებთხვა?

— მართლაც ასე იყო. ჩემი მეგობარი ზახა გოგასებ  
მეუღლესთა ერთად მეწვია. მერწმუნებ, ზახა და ქორ  
რომ არა, სასწრავის არ გამოვიძებდი და როგორ დამ-  
თავრდებოდა ეს ცეკვაუფერი, ნაძლევილად არ ვიცი. ექიმი  
მითხვა, ფართო ინგრექტი გეწყვებათ და დაუყოვნებლივ  
უნდა გადაგიყვნო ქნა გულიკო ჩაფიძის კლინიკაში.

კლინიკაში რაძენიმე დღე გავატარე, ასე ვთქვათ, მდ-  
გომარებისადან გამოყენდით. კორონოვრავა გამოყენეს.  
გაირკა, რომ სასწრავოდ „შეკლტირება“ უნდა გამეცემუ-  
ბინა. 6 აგვისტოს ქირურგის ინსტიტუტში, კლინიკა „ ლა  
გულში“ ჩამოტარდა ოპერაცია, მინდა ვისარგბლო შემ-  
თხვებით და მადლობა გადაუტადო ექიმებს. ქნა გულიკო  
ჩაფიძეს, ბ-ნ სულხან ლომინძეს და მთელ გუნდს, რომელიც  
ჩემი გულის განკურნებაში მონაწილეობდა.

— ჩემც გვინდა მადლობა გულშის ექმებს იმისათ-  
ვის, რომ დღეს აქ ჩემისან ერთად ხარ — ცოცხალი და  
ჯამბრთელი!

— ოპერაციის მეორე დღეს მესტუმრა უწმინდესი და უნ-  
გტარესა, სრულიად საჭრთველოს კათალიკოს-პატრიარქი  
იღია II. ულამაზესი სურათი იყო, გავაზილე თვალი და  
დავინახე პატრიარქი.. მთელი ცხოვრების მანძილზე მე-  
მახსოვრება ეს დღე.

აღმას, უცვლის ნება დღეს რომ კარგად ვარ... მო-  
ვებსენებთ, ტელეფონი მე არ მქონხა. ურეგავინენ ჩემს  
მეუღლეს — მანანს და კითხულობდნენ ჩემს ამავს. ცველა  
თაობის, რანგის და სარწმუნოების წარმომადგენელი, მთ  
მორის ერავლებიც, იტერესებილენენ ჩემი მდგრამარებით.

— ჩემთვის ძალიან ძეირფასა კომპოზიტორი ჯემალ  
სეფიაშვილი: „მენორას“ აქეს თავისი საიტი, რომელიც ჯე-  
მალ სეფიაშვილის იმდერით „მძღოლი ისრაელ, შალომ“  
ის სინგა. გადა იმისა, რომ სიმღერა ჩინებული, იყო აზრო-  
ბრივად ენმორას: „მენორას“ სულისცემობას, არს. იმიტომ  
მინდა გვითხოვთ: როგორ დაიწყო კომპოზიტორ ჯემალ სე-  
ფიაშვილის შემოქმედებითი ცხოვრება?

— მასინ ებრაული ანებობებისა არ იყოს, — შეკითხ-  
ვაზე შეკითხვით გიასუხებ: ჩემო გურამ, რატომ დაიწყე  
დრამატურგობა?

— ოდნავ შეცვლი კითხვას და ასე დასკვამს: რა წინა-  
პრობა არსებობდა იმისა, რომ კომპოზიტორი გახდა, ან  
როგორ აღმოაჩინე შენს თავში მუსიკის მთხვევლი?

— ვთვლი, რომ დღის ნება იყო და გავხდი კომპოზიტორი  
ტორი. ამას გარდა, ახალი არაფერს გეწყვებით თუ გავიხ-  
სენებ: ბავშვობიდან ვიყვავი გატაცებული მუსიკით, ეს სი-  
ცვარული ცირი ასაკიდანვე მოძღვდება. სკოლაში, შემდეგ  
უკვე პრილიტენიკურ ინსტიტუტში, გამორვლითი ტექნიკის  
ფაკულტეტი მაქს დამთავრული, აქეც ვისწავლე ასპირან-  
ტურამ. ამისთვის ერთად, უკარავდი საყოველოათ და ცნობილ  
„ვებსის ჯამში“.

1968 წელს კი დაუსწრებელზე გადავდი, ვტეშაობდა  
ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარსაბმ, ზეინქლად. ერთმა მე-  
გობარმა — ზენიან ერქვანამ მომზენა დექსი, „მე დებრის მე-  
ცეკვავდე შენი სიყვარული...“ რომელზეც დავწერე სიძეუ-  
რა. თუმცა, მანამდე უკვე მქონდა ერთი სიძეურა დაწერილი,  
ეს იყო „ვარდი გნახე ბაღში გულის დარბაზი...“ (წაუმ-  
ღერებს)

„სიყვარულის სანთლები“ 1968 წლის საუკეთესო სიძ-  
ლერად აღიარეს საქართველოში. ასე გაგრძელდა. ფატიუ-  
რად, ყოველწლიურად ჩემს სიძლერებს საკმაოდ დიდი  
აღიარება ჰქონდა.

— შეიძლება თქვეს, რომ აღამანში თვლებდ კომპოზი-  
ტორი, რომელიც აღმოაჩინე შემთხვევა?

— ივი მანიც აღმოჩნდებოდა. დრო თავისას იზამდა. ამ-  
ტომ მე ამას შემთხვევითიას ვერ მავაწერ. უბრალოდ,  
ლექსი წავითხებ, დავვარებ ფორტებანსთან და დაგწერე  
სიძეურა. ეს სიძლერის ფატიური, ცველამ გოგოდა საქა-  
რთველოში, თუ საზღვარგარეთ. ცვრობაშიც კი მღერობინენ,  
ცვრობიდან ძალიან ბევრ ეწ. „ჩემს“ ვიღებდი ამ სიძლერის  
შესრულების გამტ.

— როგორ ახსინდა იმას, რომ კომპოზიტორი გახდი?

— აღმას, ეს არის კომიური და მიწიერი ძალების  
ურთიერთშეთანხმება.

— ამბობენ, თითქოს ერთ დროს შენი სიძლერების შეს-  
რულება აკრძალა.

— ეს მოხდა სწორედ მაშინ, როცა ეს სიძლერები ერთობ  
პოპულარული გახდა. სპეციალური დადგნებილებაც კი იყო  
ჯემალ სეფიაშვილის სიძლერების აკრძალვის თაობაზე.

— დადგენილება? დაუკურებლივა!

— კი, ასე იყო. მე რაღომი ვტეშაობდი, მუსიკალური  
პროგრამების რედაქტორი გახდლილება? რაგვან ეს ტელევიზია,  
რომელზეც ვსურვილობით, შეინიშნება არა მხოლოდ მუსიკში, არამედ



— მანეზი? რატომ?

— თურმე იმიტომ, რომ კონსერვატორია დამთავრებული  
არ მქონდა. ეს რომ გავიგე, მოვემადე და 1980 წელს  
ჩავირიცხე კონსერვატორიაში.

— ვინ მიღდა ასეთი დადგნებილება? თუ ეს ზეპირი გან-  
კარგულება იყო?

— შეიძლება ზეპირიც იყო, თუმცა, საგმაოდ ცნობილი  
ადამიანების მეტ ნათესავი. ღმერთისა აპტოოს და აცხონის  
მათი სელეცი! სხვათა შერი, კონსერვატორიაში საკმაოდ  
რომელი მისაღები გამოცდების ჩაბარება მომხმადა, თუმცა,  
მანც შევძლი ამის გაკეთება. სტუდენტი რომ გავხდი,  
უკვე ფაფა საქართველოს კომპაუზირის პრემიის ლაუ-  
რატი, როგორც კომპოზიტორი და სიძლერების ორი ციკ-  
ლის ავტორი — „ჩემს საქართველოს ახალგაზრდები“ და  
„ოკ, ეს სტუდენტობა“.

— მინდა დაუკანელობას დაუკარგუნდეთ და გავიზადოთ  
არა მხოლოდ ჩემი, ძალიან ბერი აღმინის გაოცება ერთი  
გარემობის გამტ. საყოველთა და ცნობილია, რომ ჯემალ  
სეფიაშვილი — შესანიშნავი მელოდისტი — ისეთ დიდებულ  
კომპოზიტორთა ტრადიციების მიმღებარი და გამრმელე-  
ბელია, როგორებიც იყენებ: რევაზ ლალიძე, გიორგი ცაბაქე-  
ლიძეს დღიდ გულისტებილით და გაუცემით ვამბობ, რომ არ  
უდრის სხვადასხვა რაობითი შენი სტუდენტობას“.

— კი, ბატონი — ეს საშინელება! მაგრამ მე ვაგრძელებ  
მუშაობას, ვთვლი, რომ საგმაოდ ცარმატებული, მოქმედი  
კომპოზიტორი ვარ. ამიტომ ასე აღვილად ვერ დამბლო-

პოზნაშიც, ხელოვნების სხვა სცენიუბმიც. დავკითხდ-  
ნენ „მოპოეტო“, „მოკომპოზიტორი“ ადამიანები, რომელ-  
ბიც პოლიტიკურ რეალობას კარგად შეუთვისნებ, სიძლერას,  
ლექსის, რომანს აქთებენ და ასე ვთქვათ, „სუროგატებს“  
აწევდან საზოგადოებას.

— კი, ბატონი — ეს საშინელება! მაგრამ მე ვაგრძელებ  
მუშაობას, ვთვლი, რომ საგმაოდ ცარმატებული, მოქმედი  
კომპოზიტორი ვარ. ამიტომ ასე აღვილად ვერ დამბლო-



კომპოზიტორის ქალიშვილი –  
მომღერალი ცისანა



კავენ, არავინ არ არის მუდმივი, წავლენ ეს ადამიანები და მოვლენ სხვები... ისნი სხვაგვარად შეაფასებენ ქველაფერი იმას, რაც დღეს ხდება. ეს კარგულადა!

— რა არის შენი შემოქმედებითი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც მოგწონს, ან არ მოგწონს ეს თუ ის კომპაზიტორი?

— ჩემი შემოქმედებითი კრიტიკული არის სიხალასე, ეს ერთი. შემდგა: უნდა აკეთო ის, რაც ხალხს ცოტათი გაუუშვილესებს ყოფის. არ არსებობს კომპოზიტორი, რომელიც სპეციალურად იმისთვის ჯდება როიალთან, რომ დაწეროს კარგი, ან ცუდი მუსიკა. კველა წერს ისე, როგორც შეუძლია. საბოლოოდ კი, ხალხი წევვეტს - ეს კარგასა, თუ, პირიქით, მოუღიერებლია. მთავარი განმი, რომელიც მე გამაჩჩია, გახლავთ თაყვანისმცემების უწარმატარი არმა, ეს არმა ჩემს მიმართ ძალიან დიდი სიყვარულით არის განმსჭვალული. ნებისმიერი ხელისუფალი იოცნებებდა, რომ ამდენი მოსიყვარულე ადამიანი ჰყოლოდა. ასე — შემოქმედმა ღირსება არ უნდა დაკარგოს!

— როგორ დახსინოებთ დღევანდველ ქართულ საკომ-

## პოზიცია სკოლას?

— გამეორება მიწვევს, მაგრამ მაინც კოტყვი: როდესაც ადამიანს ცელაფრის უფლება აქვს და იცის: რაც არ უნდა დაწეროს, ეთერში მაინც აქცერდება, შემოქმედებით ხარისხშე, სიმაღლეზე საუბარი სასუკლოა. უცცებ დაწერე, მიიტანე და გადაეცი ეთერში! ალბათ, ერთადერთი ქეთილ-განწყობილი კომპიუტორი კარ, რომელსაც მოსწონს და უყვარს ნებისმიერი კომპიუტორის კარგი ნაწარმოება. სამწუხაროდ, დღეს არ არსებოს შემოქმედებითი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს — ესა თუ ის მუსკალური ნაწარმოებით.

— მანტერესებს შენა, როგორც პროფესიონალის აზრი შემდეგ საკითხთან დაკავშირდეთ: არსებობს მოსაზრება, რომ კომპიუტორი არის შეხვედრი ის, ვინც წერს სიმფონიურ, კამერულ მუსიკას და არან ე.წ. „პესენინგები“...

— ეს მოსაზრება აღარ არის, გარდაცვალა. უბრალოდ  
ადრე, თუკი არ გქინდა დამთავრებული კონსერვატიონია,  
ძალის ჭირდა ნაწარმოების სადმე გატანა. ბოლო-ბოლო  
კარგად გახსოვთ, სიმღერა რომ რადიოში ან ტელევიზორით  
გასულიყო, სამხატვრო საბჭო უნდა გაევლო და ამ საბჭოს,  
ასე ვთქათ, ვიზით შეიძლებოდა სიმღერას გზა გაეცვალა  
მშენებლისაც. ახლა ასე აღარ არის. რა უანგები იქნება,  
რა სიმღერები, ვინ ქმინს, რატომ, რისთვის, არავინ იცის...  
ფეხლა კომპიუტრობრი გახდა, შესაძლოა, ზოგიერთმა ელემენტ-  
ტარულად ნოტი სოლის დაწერაც არ იციდეს.

— „ტიტებმა“ ეს სამხატვრო საბჭო გაიარა?

— „ტიტებს“ არ გაუვლია, მაგრამ მაშინ, როდესაც ამ სიძლიერას მოელი საქართველო სუნთქვას აყოლებდა, კომპაზიტორია კავშირი აღმფორებული იყო, როგორ თუ არ გამოიტანეს ჩვენთან ეს სიძლიერათ.

— რას ნიშნავს შენთვის ებრაელობა?

— პირველ რიგში, სამაყენს! ბედნიერი ვარ იმით, რომ  
დიდი გერაული ოჯახის წარმომადგენელი გახლავართ.  
ბეზიერი ვარ იმითაც, რომ ორი ერის, თუ გნებავთ, ორი  
სარწმუნოების შვილი ვარ. დღიუჩემი ლაპარატვილის ქალი  
გახლდათ. ბებიაჩემი საქართველოს მთავრი რაბინის ქალ-  
იშვილი, შვილიშვილების გვეუბნებოდა: თუ სხვის სარწმუ-  
ნოებას არ ცუით პატივი, თქვენს სარწმუნოებასაც არავინ  
სცემს პატივს. აღდგომაზე ბებია კვერცხებს კასრებით დე-  
ბავდა და მეზობლებს ურიგებდა. შაბათ დღეს კი ყველა  
მეზობელი მზად იყო ბებიას „კერასინქა“ აქთოთ. იგი  
შაბათს არც ტელეფონს ეკარებოდა.

ამიტომ ჩემს ოჯახში იყო და არის მაცა და არის წილი კვერცხიც. ჩემი მეუღლე – მანანა, ჩემს მსგავსად მამით გძრაველია – იოსებაშვილი, ხოლო დედითი ქართველი – თოფურია. მე მოვი პოვე უფლება, რადგან დღდა ქრისტიანულ სასავლაოზეა დაკრძალული, ეკლესიაში შევიდე და სანთელი აგანთო. ვიცი, თავის ღროზე ამან ბევრი მითქმა-მოოქმეა გამოიწვია, მაგრამ ღმერთი ხომ ერთია! ძალიან დიდ სასულიერო პირთავან მაქვს კიბელულტაციის მიღებული ამ თემაზე და პასუხი ყოველოვის ერთია: „მხოლოდ დიდსულოვან ჭავს შეუძლია აკომის ის, ბატონო ჯემალ, რასაც აკეთებთ თქვენ“. მე ასე ცცხოვრობ, ასე ცხოვრობს ჩემი შველიც და ასე ზრდის ჩემს შვილშველებს, რამე - თუ ღმერთი არის ერთი! სარწმუნოება ბევრია, ღმერთი კი

# შენთვის ვძლევი!



— ၂၇၈

ისრაელში ორვერ გახლდით, პირველად 1989 წელს ვიყავი, „ტიტები“ ახლადშექმნილი იყო. ვიცხოვრე თითქმის 3 თვე ჩემს ოჯახთან ერთად, ასევე გვახლდა ქეთი ჯაფარიძე. მეორედ 1998 წელს ვიყავი, ახლობლის შეიღის ბარ მიცვაზე ჩაედი.

— საკმაოდ სანტერესით შემოტყედებითი ცხოვრების გზა  
გააღმარენ, ჯემანულ, ამის ერთ-ერთი მიზეზი ისთვაა, რომ შენი<sup>1</sup>  
შემოტყედება დაკავშირებულია დღიების ქართველ პოლტ-  
ებთან. როგორია ლექსის და ჯერაც დაუწერილი მუსიკის  
მიმართება?

— ასეთი რამ შემიძლია ვთქვა: დღეს საქართველოში ვერ მოიძებნება კომპიუტორი, რომელიც პოეტების იმ პალიტრით იტრადახებს, რომელიც ჩემს შემოწერდებაშია: ვალ-აკეთინ ტაბიძე, არაკლი აბაშიძე, შოთა ნიშნავაძე, მურმან ლებანიძე, მორის ფოცხვიშვილი, იზა ორჯველიძე, რეზო ამაშუკელი, ჯანსუელ ჩარკვანი, ირმა გურიელი, იზა ორჯველი-ჯიძე, ნნა კონტაძე და ბერი სხვა.

დღი როლს ვანიშებ პოეზიას. ძალიან ადვილად ვარჩევ პროფესიულ ლექსის რითმით დაწერილი „ბოდგისგან“. უმეტეს შემთხვევაში, ვწერ მუსიკას ლექსებზე, თუმცა, ყოფილა რადენიშვილის შემთხვევა, როდესაც დამიწურია ჯვრ მელოდია და შემძეგ ზედ დადგბულა ლექსი, მაგრამ პირადად მე, ეს გზა არ მოწონის. დღეს არის ასეთი ტენდენცია, ყველა წერის მელოდიას და შემძეგ აღქვენ ტექსტს. მაგრამ მე ჩემს თავს ყოველთვის ვთვლი ლექსების ღემიშვრა-ტორა, რადგან ყველა პიტო ლექსის დაწერის დროს ღიანინებს. ის რომ ღიანინებს, ამავლორულად ლექსში დგბს მელოდიას, მე კი ვმშობა მას და ვდალობ გადმოვცე. არ არსებობს ორიკარტზე არ ამორავსათ ლექსის აკტორი.

— სახალწლოდ რას ეტყოდი და უსურვებდი „მეზორას“  
მკითხველს?

— ძალიან ბევრ სიხარულს, მაგარ ჯანმრთელობას, კუსურვებდა, არ მოკლებოდეთ ოჯახებში ლუქმა-პური, ახსოვდეთ: კაცი მოელი მსოფლიოს ოქრი-ვერცხლს ჯაბეში ვერ ჩაიდგის, თუ რამზე ტცნებიძენ — იოცნების იმაზე, რომ შშვიდობა იყოს და მათ ოჯახებს არ მოკლებოდეთ ის ძირითადი, რაკ ადამიანს სჭირდება.

ბედნიერებას გისურვებო და წინსვლას

— დიდი მადლობა საუბრისთვის.

# თბილისის ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთის 100 წლისთავისათვის



# თბილისის საქონცავის ისტორიისათვის

## საიუბილეო თარიღი – 2011 წელი

რუბრიკა თითქოს პარადოქსულია – თბილისის ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთის 100 წლისთავი ხომ 2004 წელს იზეიმეს? სინამდვილეში თბილისის ქართველ ებრაელთა, კწ. ახალციხელ ებრაელთა, ბეით ქნესეთის 100 წლისთავი წინ გვაქვს. მაშინ, 2004 წელს, არ იქნა შესმენილი „მენორას“ გამოსვლები – ლვაწლმოსილ ქართველ ებრაელ მეცნიერთა, დასაბუთებული არგუმენტები იძინ თაობაზე რომ ბეით ქნესეთის მშენებლობა 1904 წელს დაიწყო და დამთავრდა 1911 წელს. არასდროს ყოფილა, რომ ადამიანის ჩასახვის დღე აღნიშნათ და არა დაბადებისა. მეტსაც ვიტყვით: ამ მეცნიერთა გამოსვლებს მაშინ „მენორას“ დეზინფორმაცია

უწოდეს და ზემი მაინც ჩატარებს – მავანთა ბიზნესგეგმას ასე სჭირდება. 2004 წელს „მენორა“ ორჯერ წერდა ამ საკითხებე. ოღონოც აღვნიშნეთ, წერდნენ დაწლოსილი მეცნიერები: დანიელ ხანანაშვილი და შოთა ბოსტააშვილი.

დაიწყო 2011 წელი და იმ პუბლიკაციებს კვლავ გმუდლავთ, რადგან პეით ქნესეთის მშენებლობის გასრულების 100 წლისთავი წელს სრულდება. ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მხოლოდ თბილისის, მთელი საქართველოს პრაქლობის ისტორიაში.

თბილისის ძეველ უბანს ამშევნებს ნაგებობა, რომელიც ქართველ ებრაელთა სამლოცველოდ, სინაგოგად, ანუ როგორც ებრაულად იტყვიან, ბეით ქნესეთად იწოდება.

ჯამაათის ჭევრთა შორის ხშირად გაიგონებო  
საუბარს იმის თაობაზე, რომ უანდოეს ხანს  
უნდა აღინიშნოს ბეით ქნესეთის იუბილე – 100  
წლისთავი.

„მენორაზ“ თხოვა ისტორიკოს დანიელ ხა-  
ნანა შვილს, რომელიც დიდად საარქიტო მასა-  
ლას ფლობს, მოეძია შესაბამისი მასალა, რათა  
ცხადი იყოს ბეით ქნესეთის აუგენების თარიღი.  
ბ-ნება დ. ხანანა შვილმა ჩეგნი თხოვნის შეს-  
აბამისად გამოგვიგზავნა მასალა, რომელსაც

ქვემოთ ვათავსებთ.  
თანდათან ახლოვდება ერთ-ერთი დირსშესანიშნავი თარიღი ქართველ ებრაელთა ისტორიისა – თბილისის სალოცავის 100 წლისთავი. აქ შევეცდებით წარმოვადგინოთ სალოცავის მშენებლობის პროცესი – სურათი, იმდროინდელ ქართულ პრესაში მოთავსებული მასალის მიხედვით.

ქართველ ებრაელთა ძევლი სალოცავის  
მდგომარეობა წლიდანწლამდე უარქედებოდა,  
ისე, რომ „ივერია“ (1892 წლის №69) ასეთი  
შენიშვნით გამოყიდა: „ტფილისის ქართველი  
ებრაელების სალოცავს (ოროას) ბევრი ემ-  
დურებიან: უადგილო ადგილას არის აშენებული“.

ლი და ამასთანვე შეტან დამკელდათ შენობა".  
თემი იწყებს ფიქრს ახალი სალოცავის  
მშენებლობაზე. ფიქრი განხრახვად გადაიცა,  
განხრახვამ კი თანხათან ქონქრუტული სახე  
მიიღო. გამ. „ცნობის ფურცელი“ 1897 წლის  
№339-ში იტკონინებოდა: „ტფილისში მცხოვრებ  
ქართველ გერაელებს განუზრახავთ ძელთა  
ძელის სალოცავის მაგიერ იერუსალიმის  
შესახვევში ააგონ ახალი ლიდი სალოცავი. ამ  
საქმეს სათავეში უდინანა ქალაქის გერაელი

რაპინი ლევინი და აბრამ გორელაშვილი და 3000 მანათი უკვე შეუკრებიათ ამ საქმისათვის.“ ძალისხმეულა განხორცის სისრულეში მოსავანად შემდგომზე წლებშიც გრძელდებოდა. განსა-

კურორებით იგი ოვალსაჩინო გახდა, როდესაც  
თბილისის ქართველ ებრაელებს რაბინად ია-  
კობ ნამთალაშვილი დაუდგათ. მანამდე მმართ-  
ველობა ქართველ ებრაელებს არაქართველ  
რაბინს უნიშნავდა, რაც ქართველ ებრაელთა  
უქმაყოფილებას იწვევდა. გან. „ცხობის ფურ-  
ცელი“ 1900 წლის №1256-ში წერდა: „23 წარ-  
სულს სექტემბერს ტფილისის ქართველმა  
ისრაელელებმა თავიანთ რაბინად ამოირიეს  
იაკობ ნამთალაშვილი, რომლის წინააღმდეგ-  
გაც იყვნენ დანარჩენი ურიები და საჩივარიც  
წარუდგინეს ტფილისის გუბერნატორს იმის  
შესახებ, რომ ქართველ-ისრაელელებს არა  
ჰყოლოდათ თავიანთი რაბინი. ქართველმა  
ურიებმა 1895 წელშივე წარუდგინეს შინაგან  
საქმეთა მინისტრს თხოვნა ამის შესახებ. მინ-  
ისტრსა სთხოვდნენ, რომ რადგანაც უმეტესს  
ჩვენებანს რუსული არ გვესმის, საჭიროა ისეთი  
რაბინი, რომელმაც ქართული იცოდეს. მინის-  
ტრმა შეიწყნარა ეს თხოვნა. ახლა გუბერნიის  
საკრებულომ, რომელსაც ბ-ნმა გუბერნატორმა  
წარუდგინა რუსურიათა საჩივარი, — დაამტკი-  
ცა ნამთალაშვილი ქართველ-ისრაელების რა-  
ბინად“.

მეორე დღეს კი გახ. „ივერია“ იტყობინებოდა: „ქართველი ისრაელთა ტფილისის მე-3 სინა-გოგაში, თანახმად მათის თხოვნისა, ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს რაბინათ იაკობ ნავთოლაშვილი დაუნიშნა“. როგორც ჩანს, იაკობ ნამთალაშვილის რაბინად დანიშვნამ ახალი სალოცავის აგების საკითხი კიდევ უფრო დააჩქარა. ოუ იგი რაბინად 1900 წლის ოქტომბრის დასაწყისისათვის იქნა დანიშნული, რამდენიმე თვის შემდეგ, კერ-

მოდ, 1901 წლის თებერვლისთვის, სალოცავის შენობა უკვე დანგრეული ჩანს. იმ დღეებზე გაზ. „ივერია“ ასეთ ცნობას აქვეყნებს: „ტფილისის ეპრაცელების მიერ ფულის შეგროვება თბილისის საგუბერნიო გამგეობის განკარგულებით დანგრეული ძველი სინაგოგის მაგივრად ახალი სინაგოგის ასმენშობლათ“

მაგრამ ქართველ ებრაელებს მაინც გაუჭირდათ ახალი სალოცავის მშენებლობის დაწყება სათანადო სახსრების უქონლობის გამო. 1903 წლის 24 იანვარს გახ. „ცნობის ფურცლის“ გეერდებში ასეთ ცნობას კვედებით. „თბილის მცხოვრებ მკვიდრ ებრაელთ სათხოვარი მიუციათ გუბერნატორისათვის, ნება მოგვეცით ხელის მოწერით ფული შეგვრიბოთ და ჩვენთვის ცალკე თორა ავაშენოთ. ტფილისის გუბერნატორს ამის ნება დაურთავს ებრაელთათვის, მხოლოდ ტფილისის გუბერნაში და ისიც ერთი წლით და თანაც პოლიციმენტებისათვის დაუვალებია: გამოუცხადეთ მკვიდრ-ებრაელთ, თავიანთი თავი ქართველ-ებრაელად არ გამოაცხადონ შემდგებში, პრდაპირ იწოდებიან ადგილობრივ მკვიდრ- ებრაელობადო.

შეორე დღეს, 25 იანვრის ნომერში, გაზ. „ივერია“ აქცენტის თითქმის ანალოგიური შინაარსის ცხობას, მაგრამ იგი შეიცავს ომდენიმე ისეთ დამატებით ნიუანსს, რომ საჭიროდ ვთვალით ისიც გავაცნოთ „მენორას“ შკითხვებს. „დიდი ხანია, ტფილისის ეგრეთ წოდებულ ქართველ ებრაელთ განიხრახეს საკუთარის სამლოცველოს (თორის) აგება ტფილისში, მაგრამ დღეს აქამომდე მართლა რომ ქართველური უთავობა აფერხებდა ამ საქმეს. ამ ცოტა ხნის განმავლობაში ქართულ ენაზე მოლაპარაკე ებრაელებს მიუციათ თხოვნა გუბერნატორისათვის და უთხოვნიათ, რომ ხება დაგვროეთ ჩეკე შორის შევაგროვოთ ფული საკუთარი



